ხელშეკრულება № -34

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ახმეტა, 3/09. 2015 წ

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ ახმეტის №1 საჯარო სკოლა (შემდგომში - ,,შემსყიდველი"), დირექტორის ნანული კრიხელის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,იუპუტერ"-ის დირექტორი-ზაზა სარაჯიშვილი (შემდგომში - ,,მიმწოდებელი"), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის" მოთხოვნების დაცვით ვდებთ მომსახურების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია–სხვადასხვა მომსაურება-- კიბის შეკეთება,სხვადასხვა სარემონტო სამუშაოების შესრულება. CPV 98300 000 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 400.00 (ოთხასი და 00 თ) ლარი.
2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს მომსახურების შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. მომსახურების მიღება დასტურდება ,,შემსყიდველსა" და ,,მიმწოდებლს" შორის
გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.
3.2. ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ
ვალუტაში ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.3. ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. ,,მიმწოდებელი" მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების
დადებიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, მისამართზე ახმეტის მუნიციპალიტეტი
ქ.ახმეტა ჩოლოყაშვილის56.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების

შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;ბ) გამოითხოვოს ,,მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების პირობების შესრულებასთანდაკავშირებული დოკუმენტები;
გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად დამოსთხოვოს ,,მიმწოდებელს" შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით ,,მიმწოდებლისათვის" გადასახდელი თანხიდან.
5.2. ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.3. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
ბ) გაუწიოს ,,შემსყიდველს" ხარისხიანი და უნაკლო მომსახურება.
გ) ,,შემსყიდველის" შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა
განახორციელოს მიწოდებულ მომსახურებაში აღმოჩენილი ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით,ხოლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 (ათ) პროცენტს, ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებაშ მისთვის დაკარგა ინტერესი.

6.4. იგივე პასუხისმგებლობა ეკისრება ,,შემსყიდველს" ხელშეკრულების 3.4 პუნქტის დარღვევისათვის.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელიამხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ვადის გასვლა არ ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი ვალდებულებისაგან.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს ,,იუპიტერი“	სსიპ -ქ.ახმეტის №1 საჯარო სკოლა
მისამართი: ქ. ახმეტა	მისამართი: ქ.ახმეტა ჩოლოყაშვილის56
ტელეფონი: 599850132	ტელეფონი: 0349221720
საიდენტიფიკაციო კოდი: 424612645	საიდენტიფიკაციო კოდი: 224628062
ბანკი: თიბისი ბანკი	მომსახურე ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკი”
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა : GE24TB7099836080100007	ა/ა : GE23LB0121116354920000

მიმწოდებელი: შემსყიდველი: